# ბიბლიომეტრიული მაჩვენებლები WoS-ში

www.webofscience.com

(გ ზამკვლევი)

ბაზაში შესასვლელად **თსუ-ს ქსელში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერის** ინტერნეტ ბრაუზერიდან გადადით მისამართზე: **webofscience.com**




გახსნილი გვერდიდან შესაძლებელია ძიების განხორციელება:

1. WoS-ში ინდექსირებული კონტენტით (DOCUMENTS) და
2. WoS-ში ინდექსირებული მკვლევარებით (RESEARCHERS)




**დოკუმენტებში (DOCUMENTS) ძიება ხორციელდება ორი გზით:**

1. DOCUMENTS – ამ შემთხვევაში ძიება ხორციელდება **WoS-ში ინდექსირებული კონტენტის მიხედვით,** რაც იმას ნიშნავს, რომ ძიების შედეგად გამოტანილი ყველა პუბლიკაცია გამოქვეყნებულია ისეთ წყაროებში, რომლებიც იდექსირებულია **WoS-ში;**
2. CITED REFERENCES - ამ შემთხვევაში ძიება ხორციელდება ციტირებული ლიტერატურის (სტატიებზე თანდართული გამოყენებული ლიტერატურის, ბიბლიოგრაფიის) მიხედვით, მიუხედავად იმისა კონტენტი ინდექსირებულია **WoS**-ში თუ არა. **აღსანიშნავია, რომ ეს რესურსი არ გამოდგება იმ მეცნიერებისთვის, ვისაც სურს თავისი ბიბლიომეტრიული მაჩვენებლების მოძიება WoS ბაზის მიხედვით!**

# ბიბლიომეტრიული მაჩვენებლები WoS-ში

WoS-ში ავტორის/მკვლევარის ბიბლიომეტრიული მაჩვენებლების **(h-ინდექსი, ციტირების ინდექსი)** სანახავად დაწკაპეთ RESEARCHERS



# ბიბლიომეტრიული მაჩვენებლები WoS-ში

გახსნილ ფანჯარაში **Last Name** ველში შეიყვანეთ ავტორის გვარი სრულად და **First Name and Middle Initials** ველში ავტორის სახელის პირველი ასო და ფიფქი (*) გადაბმულად.

მაგალითად, თუ ვეძებთ მკვლევარს, რომლის სახელი და გვარი არის Smith George, **RESEARCHERS** გვერდზე **Last Name** ველში ჩაბეჭდეთ ***Smith*** (თუ ამ გვარით მკვლევარი/მკვლევარები არსებობს/არსებობენ ბაზაში, ავტომატურად ჩამოიშლება ყველა შესაძლო ვარიანტი, რომლიდანაც უნდა შეირჩეს სასურველი), ხოლო **First Name and Middle Initials** ველში ჩაბეჭდეთ გადაბმულად სახელის პირველი ინიციალი და ფიფქი ***G**** *(ფიფქის გამოყენება სახელის პირველი ასოს შემდეგ ინიციალების ყველა არსებული ვარიანტის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა, რაც ძიების შედეგს უფრო სრულყოფილს ხდის)*

შემდეგ დააჭირეთ Search ღილაკს.



# ბიბლიომეტრიული მაჩვენებლები WoS-ში






# ბიბლიომეტრიული მაჩვენებლები WoS-ში



# ბიბლიომეტრიული მაჩვენებლები WoS-ში




ძიების შედეგად გაიხსნება გვერდი შესაბამისი მკვლევარების ჩამონათვალით.

ყველა მკვლევარისთვის სახელი გვარი იქნება ბმულის სახით. შესაბამისად, სასურველი მკვლევარის პროფილის სანახავად WoS-ში გადადით მკვლევარის ბმულზე.

მარტივი იდენტიფიცირებისთვის მკვლევარების ჩამონათვალში გარდა სახელი გვარისა ძიების შედეგების გვერდზე აისახება მკვლევარის აფილირება, ქალაქი, ქვეყანა, ბოლო პუბლიკაციები, გამოქვეყნების წლები, დოკუმენტების რაოდენობა.

ასევე, სასურველი შედეგის უფრო სწრაფად მოძიებისთვის გამოიყენეთ ფილტრები შედეგების გვერდის მარცხენა მხარეს.

# ბიბლიომეტრიული მაჩვენებლები WoS-ში




მკვლევარის ბიბლიომეტრიული მჩვენებლების (**ჰირშის h ინდექსი და ციტირების ინდექსი**) ნახვა შეგიძლიათ მკვლევარის პროფილში მარჯვენა მხარეს

მაგალითის მიხედვით, Smith George-ის ჰირშის H-ინდექსია 22, ხოლო ციტირების ინდექსი 3 881. სულ მისი ავტორობით 115 პუბლიკაცია არის ინდექსირებული WoS-ში. ავტორის პუბლიკაციებზე ციტირება არის გაკეთებული 2 697 სტატიაში.